ალმა მატერ

უნივერსიტეტი

2 სექტემბერი, ხუთშაბათი, 2010 წ. №9 (2105)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

თსუ-ის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად ალექსანდრე კვიტაშვილი აირჩიეს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ყოფილი მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი შეასრულებს. ალექსანდრე კვიტაშვილი თსუ-ის აკადემიური საბჭოს სხდომაზე 31 აგვისტოს ერთხმად აირჩიეს. სხდომა 40 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა და მას აკადემიური საბჭოს 9 წევრი ესწრებოდა, ერთმა წევრმა კი მონაწილეობა ონლაინ რეჟიმის საშუალებით მიიღო. ბატონი ალექსანდრე კვიტაშვილის კანდიდატურა თსუ-ის რექტორის მოვალეობის ყოფილმა შემსრულებელმა ნუგზარ სურგულაძემ წარადგინა. მისი განცხადებით, იგი რექტორის მოვალეობის შესრულებას მხოლოდ დროებით, შესაფერისი კანდიდატურის მოძებნამდე დათანხმდა და ისევ სამეცნიერო საქმიანობას უბრუნდება. ნუგზარ სურგულაძე რექტორის მოვალეობის შემსრულებლად 2 კვირის წინ მას შემდეგ დაინიშნა, რაც გიორგი ხუბუამ პირადი განცხადების საფუძველზე თანამდებობა დატოვა.

თსუ-ის რექტორის მოვალეობის ახალმა შემსრულებელმა ალექსანდრე კვიტაშვილმა ჯანდაცვის მინისტრის პოსტიდან გადადგომის შესახებ ოფიციალურად, 31 აგვისტოს, დღის პირველ ნახევარში განაცხადა. მისი თქმით, მან ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ შეთავაზება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წრეებიდან მიიღო.

„ნდობის გამოცხადებისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო აკადემიური საბჭოს წევრებს. ჩემთვის ეს დიდი პატივია. მსურს, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტი საუკეთესო გახდეს არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. ახლა დავიწყებთ მზადებას სწავლის პროცესის დასაწყებად და რექტორის არჩევნების ჩასატარებლად", — განაცხადა სხდომის დასრულების შემდეგ ალექსანდრე კვიტაშვილმა.

ჯანდაცვის მინისტრის პოსტიდან გადადგომისა და თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ რექტორის მოვალეობის შემსრულებლად არჩევის შემდეგ, ალექსანდრე კვიტაშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ავლაბრის რეზიდენციაში შეხვდა. მიხეილ სააკაშვილმა ჯანდაცვის ყოფილ მინისტრს გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობაში ალექსანდრე კვიტაშვილის საქმიანობა ქვეყნისთვის ძალიან სასარგებლო იყო. მისი თქმით, კვიტაშვილი ახლაც დიდი გამოწვევის წინაშე დგას, რასაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარება ჰქვია. პრეზიდენტმა შეხვედრაზე, ასევე, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის დიპლომი არ უნდა გაიცემოდეს, თუ ადამიანმა ერთი უცხო ენა მაინც არ იცის, თუმცა, მისივე თქმით, ვერც უცხო ენა და ვერც კომპიუტერი ფუნდამენტურ განათლებას ვერ ჩაანაცვლებს. პრეზიდენტი ალექსანდრე კვიტაშვილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფინანსების გაზრდაში დახმარებას დაჰპირდა.

„ჩვენ მაქსიმალურად დაგეხმარებით, მოგცემთ დამატებით ფინანსებს... მატერიალური წახალისება და სტიმული უნდა გაიზარდოს. განათლების განვითარებაზე მნიშვნელოვანი პროექტი საქართველოში არ არსებობს და ამიტომ ყველაფერს, რისი გაკეთებაც ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში შეიძლება, სახელმწიფო გააკეთებს", — განაცხადა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

თსუ-ის რექტორის მოვალეობის ახალმა შემსრულებელმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ რექტორის არჩევნებში მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებას მოგვიანებით მიიღებს.

ალექსანდრე კვიტაშვილი განათლებით ისტორიკოსი გახლავთ. მან 1992 წელს თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა. 1993 წელს იგი ნიუ იორკის უნივერსიტეტის რობერტ ვაგნერის სახელობის სახელმწიფო მართვის სკოლაში ჩაირიცხა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა გაეროს განვითარების პროგრამაში, ასევე, იყო „კურაციოს" საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი, 1995-2000 წლებში მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში საერთაშორისო ორგანიზაციების კონსულტანტად მუშაობდა, 2008 წლის 31 იანვრიდან იგი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი გახლდათ.

დადგენილება

90/2010 31.08.2010

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21–ე მუხლის 1^2 პუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის № 490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–9 მუხლის საფუძველზე,

1. დაინიშნოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად ალექსანდრე კვიტაშვილი.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს საჯაროდ.

დაინიშნა აკადემიური საბჭოს მორიგი არჩევნები

2006 წლის 29 სექტემბერს არჩეული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 8 წევრს (გიორგი დავითაშვილი, ზურაბ დავითაშვილი, მერაბ კილაძე, ელიზბარ ნადარაია, ირმა რატიანი, ალექსანდრე შენგელაია, გუგული მაღრაძე, კონსტანტინე კორკელია) უფლებამოსილების ვადა 2010 წლის 29 სექტემბერს ეწურება. მართვის უწყვეტობის პრინციპიდან გამომდინარე, აუცილებელია გაიმართოს აკადემიური საბჭოს ახალი არჩევნები, რათა ვაკანტური ადგილები ახალმა წევრებმა დაიკავონ. აკადემიური საბჭოს განახლების მიზნით, უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ მიმდინარე წლის 31 აგვისტოს გამოცემული ბრძანების (№74/01-01) საფუძველზე 2010 წლის 22 სექტემბერს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები დაინიშნა. 8 წევრის ვინაობა აკადემიური საბჭოს ახალი არჩევნების გზით გაირკვევა. აკადემიური საბჭოს წევრობის მსურველმა კანდიდატებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ ბრძანებით დადგენილ ვადებში — რეგისტრაცია დაიწყება 2 სექტემბერს და დასრულდება 2010 წლის 10 სექტემბერს 18:00 საათზე. კანდიდატს ეზღუდება კანდიდატურის წარდგენის უფლება, თუ ის ზედიზედ ორჯერ უკვე იყო არჩეული აკადემიურ საბჭოში. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატს უფლება აქვს აწარმოოს საარჩევნო კამპანია ნებისმიერი ფორმით, რაც ხელს არ შეუშლის სასწავლო პროცესის ჩატარებას (ეს არის ბუკლეტები, საარჩევნო ბანერები, შეხვედრები ამომრჩევლებთან და ა.შ.). ბრძანებაში მითითებულია ის ფაკულტეტები, რომელთაც თავიანთი კანდიდატურები უნდა წარმოადგინონ. ბრძანებით განისაზღვრა ახალი საარჩევნო კომისიის შემადგენლობა, რომელთაც უნდა უზრუნველყონ არჩევნების ჩატარება გამჭვირვალობისა და საჯაროობის პრინციპების დაცვით. არჩევნები სრულდება საარჩევნო კომისიის ოქმით არჩევნების შედეგების შეჯამების თაობაზე.

პირველი აკადემიური საბჭო თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს 2005 წლამდე დიდი სამეცნიერო საბჭო ხელმძღვანელობდა.

2005 წელს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმა საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს — აკადემიური საბჭოს არჩევის წესი დაარეგულირა. აღნიშნული კანონის მე-20 მუხლში ნათქვამია, რომ აკადემიური საბჭო არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელსაც ფარული კენჭისყრით ირჩევენ ფაკულტეტების აკადემიური პერსონალი და ფაკულტეტის საბჭოს წევრი სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს პირველი არჩევნები 2006 წლის 29 სექტემბერს გაიმართა. არჩევნები ჩატარდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის № №721 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოების პირველი არჩევნების ჩატარების დებულების შესაბამისად.

რექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ხუბუას მიერ 2006 წლის 7 სექტემბერს გამოცემული ბრძანებით თსუ-ის აკადემიური საბჭოს რაოდენობა განისაზღვრა 12 წევრით (2-2 წევრი თითო ფაკულტეტიდან). უნივერსიტეტის საზოგადოებამ პირველი აკადემიური საბჭოს წევრებად აირჩია: ელიზბარ ნადარაია, ალექსანდრე შენგელაია (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი), ფრიდონ თოდუა, მერაბ კილაძე (მედიცინის ფაკულტეტი), გუგული მაღრაძე, ზურაბ დავითაშვილი (სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი), გიორგი დავითაშვილი, კონსტანტინე კორკელია (იურიდიული ფაკულტეტი), ირაკლი კოვზანაძე, რევაზ გველესიანი (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი), მარიამ ჩხარტიშვილი, ირმა რატიანი (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი).

2006 წლის 2 ოქტომბერს შედგა აკადემიური საბჭოს პირველი სხდომა. მომდევნო სხდომაზე გაიმართა წილისყრა საბჭოს წევრთა შემადგენლობის იმ ერთი მესამედის დასადგენად, რომელიც 2 წელიწადში განახლებას ექვემდებარებოდა („უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად, აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განახლებას ექვემდებარება ერთი მესამედით ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის დადგენილი ხანგრძლივობის ნახევრის გასვლის შემდეგ). წილისყრის შედეგად 4 წევრს განესაზღვრა უფლებამოსილების ვადა 2 წლით. ამის გამო 2008 წელს თსუ-ის აკადემიურ საბჭოში 4 წევრი — ქეთევან მარშავა, ფრიდონ თოდუა, რევაზ გველესიანი და აკაკი ყულიჯანაშვილი აირჩიეს. მათი უფლებამოსილების ვადა 2012 წლამდე გრძელდება.

მიმდინარე წლის 29 სექტემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 8 წევრს — გიორგი დავითაშვილს, ზურაბ დავითაშვილს, მერაბ კილაძეს, ელიზბარ ნადარაიას, ირმა რატიანს, ალექსანდრე შენგელაიას, გუგული მაღრაძეს და კონსტანტინე კორკელიას უფლებამოსილების ვადა ეწურებათ, რის გამოც რექტორის ბრძანებით უნდა გაიმართოს ახალი არჩევნები.

ბრძანება № 74/01-01

31.08.10

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, მე–16 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე–20 მუხლის პირველი, მე–2 და მე–4 პუნქტების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52–ე მუხლის პირველი და მე–2 ნაწილების, 53–ე მუხლის პირველი და მე–3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 55–ე მუხლის მე–2 ნაწილის, 56–ე მუხლის პირველი ნაწილის, 61–ე მუხლის პირველი, მე–3 ნაწილების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე–16 მუხლის მე–2 პუნქტის, 34–ე მუხლის პირველი, მე–2, მე–3 და მე–4 პუნქტების, სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2008 წლის 30 სექტემბრის №141 და 2010 წლის 25 ივნისის №72 დადგენილებებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 3 ოქტომბრის №15 სხდომისა და 2010 წლის პირველი ივლისის №26 გადაწყვეტილების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა (8 წევრის) უფლებამოსილების ვადის 2010 წლის 29 სექტემბრისათვის ამოწურვასთან დაკავშირებით, დაინიშნოს აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნები 2010 წლის 22 სექტემბერს, შემდეგ ფაკულტეტებზე:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 1 წევრი;

ბ) იურიდიული ფაკულტეტი – 2 წევრი;

გ) მედიცინის ფაკულტეტი – 1 წევრი;

დ) სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 2 წევრი;

ე) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – 2 წევრი.

2. განისაზღვროს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) მიხეილ დევდარიანი – არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა – ახალი ინიციატივის“ თავმჯდომარე;

ბ) ირაკლი ყიფშიძე – ექსპერტი (არჩევნების მონიტორინგი);

გ) ანგი ხუციშვილი – იურისტი (კვალიფიკაცია – საარჩევნო სამართალი);

დ) გიორგი ხომეზური – ექსპერტი (არჩევნების ორგანიზება);

ე) მარიამ კევლიშვილი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი;

ვ) ნანი მაჭარაშვილი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;

ზ) დავით გოცირიძე – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

3. საარჩევნო კომისიას დაევალოს 22 სექტემბრის არჩევნების დადგენილ ვადებში, მოქმედ კანონმდებლობასა და შესაბამისი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობაში ჩატარება;

4. საარჩევნო კომისიის წევრებს შესრულებული სამუშაოსათვის მიეცეთ ანაზღაურება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. არჩევნების საორგანიზაციო (ტექნიკური) ხარჯების ანაზღაურება (საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე) განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

6. აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2 სექტემბერს და დასრულდეს 2010 წლის 10 სექტემბერს 18:00 საათზე.

7. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №3, უნივერსიტეტის მე–2 კორპუსი, ოთახი №8;

8. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას;

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანო – „თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორს ნინო კაკულიას;

10. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ–გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს;

11. ბრძანების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

12. ბრძანება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით – გამოქვეყნებისთანავე;

13. წინამდებარე ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2009 წლის 13 მარტის №26/01–01 ბრძანება „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ“ და სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2009 წლის 13 მარტის №28/01–01 ბრძანება „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ“;

14. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრებული იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის №52), ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6)

15. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილეს დავით ჩომახიძეს.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი, პროფესორი
ნუგზარ სურგულაძე

რას ითვალისწინებს აკადემიური საბჭოს არჩევის წესი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში, 34 მუხლის საფუძველზე, განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს არჩევის წესი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს საარჩევნო კომისიამ.

მუხლი 34. აკადემიური საბჭოს არჩევის წესი

1. აკადემიური საბჭოს წევრები აირჩევიან ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე პირთა ნახევარზე მეტი.

2. აკადემიურ საბჭოში ფაკულტეტებიდან აირჩევა 12 წევრი. თითოეული ფაკულტეტი ირჩევს 2 წარმომადგენელს. არჩეულად ითვლება კენჭისყრის მიხედვით ორი საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატი.

3. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი, გარდა ასისტენტ-პროფესორისა.

4. აკადემიური საბჭოს წევრის არჩევის ვადა ემთხვევა ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის ხანგრძლივობას და განისაზღვრება 4 წლით.

5. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა განახლებას ექვემდებარება ერთი მესამედით ძირითადი საგანმანათლებლო საფეხურის დადგენილი ხანგრძლივობის ნახევრის გასვლის შემდეგ.

აკადემიური საბჭოს წევრობის კანდიდატისათვის წესდებით განსაზღვრულია შემდეგი გარკვეული შეზღუდვები:

აკადემიური საბჭოს წევრს არ შეიძლება უნივერსიტეტში იმავდროულად ეკავოს ადმინისტრაციული თანამდებობა, გარდა რექტორისა, ან იყოს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი. (მუხლი 53).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის № 490 ბრძანების (საჯარო სამართლის იურიდიული პირის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ) საფუძველზე განისაზღვრა, რომ აკადემიური საბჭოს წევრად აგრეთვე არ შეიძლება აირჩიონ ის პირი, რომელსაც სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ადმინისტრაციული ან აკადემიური თანამდებობა უკავია.

წესდების რა მუხლებს ეყრდნობა აკადემიური საბჭოს საქმიანობა

წარმოგიდგენთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2008 წლის 29 მაისს გამოცემული №490 ბრძანების საფუძველზე დამტკიცებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში ასახულ მუხლებს უნივერსიტეტის მართვის ორგანოს — აკადემიური საბჭოს შესახებ.

მუხლი 8. აკადემიური საბჭო

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო (შემდეგში – აკადემიური საბჭო) არის უნივერსიტეტის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში არიან: აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე – რექტორი და აკადემიური საბჭოს წევრები.

2. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება, განცხადება, წარდგინება, რომელსაც ხელს აწრს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

მუხლი 9. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

ბ) ფაკულტეტების წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

გ) ხელს უწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლო გეგმებისა და პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;

დ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – რექტორს;

ე) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას;

ვ) წარმომადგენლობით საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით წარუგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას;

ზ) წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში;

თ) მონაწილეობს უნივერსიტეტის წესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის წარმომადგენლობით საბჭოში განხილვაში;

ი) სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

კ) ადგენს სხვა აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული უმაღლესი და სახელობო განათლების კრედიტების აღიარების წესს; (9.06.2010 47/ნ)

ლ) ფაკულტეტის საბჭოს ან/და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას; (9.06.2010 47/ნ)

მ) წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის კანდიდატურას;

ნ) ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

ო) წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

პ) ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ;

ჟ) ადგენს ფაკულტეტის დეკანების, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს არჩევნების წესს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

რ) ირჩევს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელს;

ს) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესს;

ტ) უნივერსიტეტის წესდებით გათვალისწინებული და სხვა გადაუდებელი საკითხების გადაწყვეტის მიზნით, წევრებისაგან, ხმათა უმრავლესობით, ქმნის დროებით კომისიებს. კომისია ამზადებს საკითხს და განსახილველად გამოაქვს აკადემიური საბჭოს სხდომაზე;

უ) აკადემიური საბჭო საჭიროების შემთხვევაში იწვევს ექსპერტს.

ფ) სიითი შემადგენლობის 2/3 იღებს „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და 39-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას. (9.06.2010 47/ნ).

ქ) უფლებამოსილია, რექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, რექტორისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების, ან/და რექტორისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, აკადემიური საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

მე-4 გვერდზე

წესდების რა მუხლებს ეყრდნობა აკადემიური საბჭოს საქმიანობა

მე-3 გვერდიდან

გადაწყვეტილება რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორი ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას;

ღ) რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რექტორის მოვალეობის შესრულებას აკისრებს უნივერსიტეტის ან სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრულ ან ასოცირებულ პროფესორს. (9.06.2010 47/ნ).

მუხლი 10. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს სამდივნო.

2. აკადემიური საბჭოს სამდივნო უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოსწევრთა ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას.

მუხლი 11. აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი

1. აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი.

2. აკადემიური საბჭო იკრიბება ორ კვირაში ერთხელ ან საჭიროებისამებრ. აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა რექტორის ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრთა არანაკლებ 1/3–ის მიერ. (9.06.2010 47/ნ)

3. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მუხლი 12. აკადემიური საბჭოს სხდომათა დღის წესრიგი

1. აკადემიური საბჭოს სამდივნო, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს სხდომაზე განსახილველი საკითხების ნუსხას, რომელსაც წინასწარ გადასცემს აკადემიური საბჭოს წევრებს.

2. აკადემიური საბჭოს წევრები უფლებამოსილნი არიან დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხი, რის შესახებაც სამდივნოს უნდა ეცნობოს სხდომის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 დღისა.

3. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

მუხლი 13. გადაწყვეტილების მიღება

აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება საერთო შემადგენლობის 2/3. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

მუხლი 14. ხმის მიცემა

1. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია.

2. აკადემიური საბჭოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/4-ს უფლება აქვს მოითხოვოს ფარული კენჭისყრა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ.

მუხლი 15. ოქმის წარმოება

1. აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ იწარმოება ოქმი.

2. ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და აკადემიური საბჭოს სამდივანოს ხელმძღვანელი ან საბჭოს სხდომის მდივანი.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010–2011 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წლის 15 ივნისის №135/02–01 ბრძანების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ 16-ე მუხლის მე–2 პუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56–ე მუხლის პირველი ნაწილისა და 61–ე მუხლის პირველი ნაწილის მე–3 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010–2011 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადები დამტკიცდეს ახალი რედაქციით:

პირველკურსელთა რეგისტრაცია

ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია – 10 სექტემბერი – 17 სექტემბერი
- აკადემიური რეგისტრაცია – 10 სექტემბერი – 17 სექტემბერი

შემოდგომის სემესტრი

ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია – 2 აგვისტო – 15 სექტემბერი
- აკადემიური რეგისტრაცია – 9 აგვისტო – 17 სექტემბერი
- სააუდიტორიო მეცადინეობები – 20 სექტემბერი – 31 დეკემბერი
- სასესიო პერიოდი – 10 იანვარი – 17 თებერვალი
- არდადეგები – 18 თებერვალი – 27 თებერვალი

მაგისტრატურა

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია — 23 აგვისტო — 30 სექტემბერი
- აკადემიური რეგისტრაცია — 30 აგვისტო — 2 ოქტომბერი
- სააუდიტორიო მეცადინეობები —4 ოქტომბერი — 22 იანვარი
- სასესიო პერიოდი –24 იანვარი — 18 თებერვალი
- არდადეგები –19 თებერვალი – 27 თებერვალი

დოქტორანტურა

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია — 23 აგვისტო — 30 სექტემბერი
- სააუდიტორიო მეცადინეობები — 4 ოქტომბერი — 22 იანვარი

გაზაფხულის სემესტრი

ბაკალავრიატი/პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია – 8 თებერვალი — 26 თებერვალი
- აკადემიური რეგისტრაცია — 10 თებერვალი — 28 თებერვალი
- სააუდიტორიო მეცადინეობები — 28 თებერვალი — 11 ივნისი
- სასესიო პერიოდი – 13 ივნისი — 19 ივლისი

მაგისტრატურა

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია — 8 თებერვალი — 26 თებერვალი
- აკადემიური რეგისტრაცია — 10 თებერვალი — 28 თებერვალი
- სააუდიტორიო მეცადინეობები — 28 თებერვალი — 11 ივნისი
- სასესიო პერიოდი — 13 ივნისი — 19 ივლისი

დოქტორანტურა

- ადმინისტრაციული რეგისტრაცია – 1 თებერვალი — 19 თებერვალი
- სააუდიტორიო მეცადინეობები — 21 თებერვალი — 4 ივნისი

2. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2010–2011 სასწავლო წლის სასწავლო პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წლის 15 ივნისის №135/02–01 ბრძანება.
3. ბრძანების შესრულება უზრუნველყოს სასწავლო დეპარტამენტმა.
4. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ბეჭდვით ორგანო – „თბილისის უნივერსიტეტში“ გამოქვეყნების უზრუნველყოფა დაევალოს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორს ნინო კაკულიას.
5. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს.
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრებული იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის №52), ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი
ალექსანდრე კვიტაშვილი

მთავარი რედაქტორი	**ნინო კაკულია**	რედკოლეგიის წევრები:	მისამართი:
მთავარი სპეციალისტი	**მაია ტორაძე**	**რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, დიანა ძიძიგური, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი**	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ტექნიკური რედაქტორი	**მანანა ჯურხაძე**		
ფოტოკორესპონდენტი	**ლიკა პეტრიაშვილი**		
კომპიუტ. უზრუნველყოფა	**გიორგი წიქარიშვილი**		22 36 62